

კომუნიკაცია

თქვენი ოჯახის ახლი წევრი კომუნიკაციისთვის იყენებს მთელს სხეულს. ის თავისი მზერით გეუბნებათ, რომ მისთვის ყველაზე მთავარი ხარტ მთელს მსოფლიოში. ის თქვენთან ურთიერთობს სხეულის მოძრაობებით, ბგერებით და განსაკუთრებული ტირილით. თქვენი ბავშვისთვის ყველაზე საყვარელი მუსიკა თქვენი ხმაა. მას მოსწონს ოჯახის წევრების ხმები, მაგრამ პერიოდულად სჭირდება მშვიდი გარემო.

მუსიკის დრო

უმჯობესად თქვენს ბავშვს ბანაობის, ჭამის, ვარჯიშის ან გამოცვლის დროს. უმჯობესად ნაცნობი მელოდია ან რითმა, ან მოიგონეთ რაიმე ახალი, სადაც გამოიყენებთ მის სახელს: „სანდრო-ბანდრო, მთვარის ბადრო... დაანახეთ პატარას თქვენი სახე. მან უკვე იცის საკუთარი თავის მნიშვნელობა!

სასაცილო ბავშვი

მშვიდი, წყნარი თამაშის დროს, ეცადეთ ბავშვმა გაიღიმოს. მიიღეთ სასაცილო (მაგრამ არა საშიში) სახე, რომელიც მას მოსწონს. როდესაც გაიღიმებს, თქვენ ისევ მიღეთ იგივე სახე. უთხარით თქვენ ბავშვს, თუ როგორი სასაცილოა ის!

სურათებიანი წიგნი

მოათავსეთ ბავშვი თქვენს კალთაში მოხერხებულად და დაიჭირეთ ფერადი წიგნი ისე, რომ ორივემ შეხედოთ. შეგიძლიათ გამოყენოთ სურათებიანი ჟურნალი, გაზეთის რეკლამები ან საოჯახო ფოტოები. აუხსენით, რას ხედავთ სურათზე. მოგვიანებით ის მიხვდება, რომ კითხვა განსაკუთრებული პროცესია.

საუბრის დრო

როდესაც თქვენს ბავშვს ღვიძავს, ჩაისვით კალთაში ისე, რომ თქვენს სახეს ხედავდეს. ესაუბრეთ ცოტა ხნით, თან შეეცადეთ რომ სახეში გიყუროთ. ათქმევინეთ სხვადასხვა ბგერები. „ისაუბრეთ“.

ტირილის გახმოვანება

როდესაც თქვენ ცდილობთ ტირილის დროს ბავშვის დამშვიდებას, ესაუბრეთ მას თუ რატომ ტირის. ეცადეთ გაიგოთ, რაზე სწუხს.

ბგერების ამოცნობა

როდესაც სახლში რაიმე ხმა გაჟღერდება, მიაქცევინეთ ბავშვს ყურადღება მასზე კომენტარის გაკეთებით: „გესმის ტელეფონი რეკავს“, „გესმის შენი ძმა იძახის.“

ტელეფონის დრო

როდესაც თქვენ ტელეფონზე საუბრობთ, ახლოს დაიკავეთ თქვენი ბავშვი და მას უყურეთ. ბავშვი გაერთობა თქვენს ყურებასა და მოსმენაში. იფიქრებს, რომ ეს საუბარი მისთვისაა!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვი თანდათან უფრო ძლიერი ხდება. ის ცდილობს წამოწიოს და დაიჭიროს თავი. აქტიურად ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს. მალე ის შეძლებს ზურგიდან გვერდზე გადაბრუნებას. უყვარს, როდესაც ტერფებით იატაკს ეხება. უყვარს, როდესაც ისე გიჭირავთ, რომ შეეძლოს გარემოს დათვალიერება და თან ზურგის და მუცლის კუნთების გამაგრება.

სხვადასხვა პოზა

როდესაც ბავშვს ღვიძავს, მოათავსეთ ის სხვადასხვა პოზაში, ხან მუცელზე და ხან გვერდზე. ამით ის შეძლებს თავისი ხელების და ფეხების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობას. ეს ასევე გაამაგრებს მის სხეულს და გარემოც უფრო საინტერესო გახდება.

ვარჯიში

დააწვინეთ ბავშვი ზურგით მაგარ ზედაპირზე. ესაუბრეთ სასიამოვნო ხმით და ამოძრავეთ მისი ფეხები ტერფებზე ხელის მოკიდებით, წინ და უკან.

თავი მაღლა!

დააწვინეთ მუცელზე. დაიჭირეთ ბრჭყვიალა სათამაშო ან დააინტერესეთ სხვადასხვა ხმების გამოცემით, რომ თქვენმა ბავშვმა მოინდომოს თავის წამოწევა, გაუღიმეთ. სიარულის დროს ისე გეჭიროთ ბავშვი, რომ მისი თავი იყოს თქვენს მხრებთან. ერთად გაიარეთ ფერად ფარდასთან ან სურათთან ახლოს. მიეცით დრო რომ თავი ასწიოს და შეხედოს: „ჩემო პატარავ, შეხედე! შენ ისეთი ძლიერი კისერი გაქვს!“

ბანაობის დრო

ბანაობის დროს ნაზად დაუზილეთ ფეხები, ხელები, მუცელი და ზურგი. მიეცით საშუალება მოიქნოს ფეხები, წყალში იტყაპუნოს, თან უმღერეთ და ესაუბრეთ.

წონასწორობა (3-4 თვიდან)

დააყენეთ ბავშვი თქვენს მუხლებზე. ხელები შემოხვიეთ და ისე დაიჭირეთ ვერტიკალურ პოზაში. მიეცით საშუალება, რომ თვითონ დაიჭიროს საკუთარი სხეული, მოახერხოს ფეხების გაშლა და წონასწორობის შენარჩუნება. ისე გეჭიროთ, რომ სახეში გიყურებდეთ და თან გაუღიმეთ. შემდეგ დაიჭირეთ ისე, რომ სახით უყურებდეს გარემოს და მოახერხოს დათვალიერება.

გადაბრუნება

დაიჭირეთ სათამაშო ბავშვის წინ და შემდეგ გადაიტანეთ გვერდზე, რომ შეეცადოს გადატრიალებას. შეგიძლიათ გადატრიალებაში ხელით მიეხმაროთ, სანამ ამას დამოუკიდებლად შეძლებს.

აზიდვები

მოათავსეთ ბავშვი თქვენს კალთაში სახით თქვენსკენ. ნელა წამოუწიეთ ხელებით ზემოთ. შემდეგ ნელა დააწვინეთ უკან. გაიმეორეთ წამოწევა-დაწოლის ეს ვარჯიში და თან ესაუბრეთ. ამით გავარჯიშდება მისი მუცლის კუნთები და თან გარემოს და თქვენს მომღიმარ სახეს სახვადასხვა კუთხით დაინახავს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვი უფრო უკეთ აკონტროლებს თავის მხერას და უკვე შეუძლია ახლოს მდებარე საგნებზე ფოკუსირება. მალე ის შეძლებს თქვენც გამოგაყოლოთ თვალი. ის ხელს ჰკიდებს თქვენს თითს და მჭიდროდ გიჭერთ. თავის აღლევებას ხელების ქნევით გამოხატავს. ის თანდათან იწყებს გაგებას, თუ რა ხდება ამ ქვეყნად, ეს ხომ შესანიშნავია!

თითებზე კოცნა

როდესაც თქვენს ბავშვს აჭმევთ, შეეცადეთ ტუჩებზე შეგეხოთ. აკოცეთ თითებზე. ბავშვი შეიგრძნობს ნაზი, სველი ტუჩების შეხებას და მალე შეეცდება ეს თვითონაც გააკეთოს.

დაიჭირე (3-4 თვე)

როდესაც ბავშვი წევს მყარ ზედაპირზე ან ზის ისე, რომ თქვენ გიყურებდეთ, გაუწოდეთ სათამაშო ან რაიმე ნივთი ისე, რომ მიწვდეს და შეეცადეთ, რომ ხელში აიღოს. სავარაუდო ის მას გემოსაც გაუსინჯავს!

თითზე ჩაჭიდება

დააჭერინეთ თქვენს ბავშვს თქვენი თითი, რათა მაგრად მოუჭიროს. ოდნავ, ნაზად გამოქაჩეთ, რათა მიხვდეს, რომ თქვენ მასთან ხართ: “შენ ისეთი ძლიერი ხარ”.

„მასაჟი“

დაუზილეთ პატარას ფეხის და ხელის თითები. მცირე რაოდენობით ზეთი ან საბავშვო ლოსიონი ამ პროცესს უფრო სასიამოვნოს გახდის. ეს ასევე დაეხმარება საკუთარი სხეულის შესწავლაში. ამ დროს უთხარით: „როგორ მიყვარს შენი პატარა ფეხის თითები“.

ყელსახვევის ფრიალი

ყელზე გაიკეთეთ გრძელი, კამკაშაფერებიანი ყელსახვევი ან ბაფთა. როდესაც დაიხრებით პატარას ასაყვანად, შეეცადეთ ის მიწვდეს და ხელი მოჰკიდოს თქვენს ყელსახვევს. გაახმოვანეთ: “შენ ყელსახვევს ეხები, ეს მე შენთვის გავიკეთე”.

ვინ უფრო ძლიერია

ხელი მოაკიდებინეთ ნაჭრის ერთ კუთხეზე და ოდნავ გაქაჩეთ ნაჭრის მეორე ბოლო. უთხარით, რომ ძალიან ძლიერია. ნელა გაუშით ნაჭერს ხელი და მას მოაგებინეთ ეს თამაში.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენი პატარა უკვე რეაგირებს ბგერებზე და ხმებზე. აკვირდება და ეძებს ხმის წყაროს. ის აკვირდება გარემოს და აქტიურად ათვალიერებს ადამიანებს ან სათამაშოს. მას მოსწონს სხვადასხვა რამის შესწავლა, როგორც არის საკუთარი ხელები ან მისთვის ასე ძალიან მნიშვნელოვანი თქვენი სახე!

თვალის გაყოლება

გაყოლებინეთ თვალი გაპრიალებულ კოვზზე ან თქვენს სახეზე. მისგან 20-25 სმ-ის დაშორებით მოათავსეთ რაიმე საგანი ან სახე და ამოძრავეთ მარჯვნივ და მარცხნივ. თამაშის დროს თან ესაუბრეთ. ის ასეთი თამაშით კარგად გაერთობა.

მსუბუქი შეხება

ნაზად შეახეთ ბუმბული, ბამბის ბურთულა ან რაიმე ქსოვილი. მას მოეწონება ახალი შეგრძნება და თავისი სხეულის ნაწილებსაც შეიცნობს. მშვიდად ესაუბრეთ. აუღწერეთ, თუ რას გრძნობს ის.

სხვადასხვა სურნელი

დაეხმარეთ ყნოსვითი შეგრძნებების განვითარებაში. ძალიან ცოტა კბილის პასტა დაიდეთ თითზე ან ხელში დაიჭირეთ მოტკბო სუნის საპონი. ნელა გააქნიეთ ეს არომატები ბავშვის წინ ისე, რომ მან იგრძნოს სუნი: „ოოო, რა კარგი სუნია“.

სახეები

დააწვინეთ თქვენი ბავშვი ზურგზე, დაიხარეთ მასთან ახლოს და მიიღეთ გაცეხული ან მხიარული სახე. შეეცადეთ, რომ ის შეეხოს თქვენს ტუჩებს, ლოყას ან ცხვირს. იცინეთ ერთად.

ფერადი წინდები

ჩააცვით ფერადი წინდები. ეს დაეხმარება მას, რომ ყურადღება მიაქციოს თავის ფეხებს და თანდათან მისწვდეს მათ. ამავე დროს ეს თამაში დაეხმარება თავისი სხეულის ნაწილების შესწავლაში: „შეხედე ამ ლამაზ ფეხებს“.

კოვზის ხმა

დააწვინეთ ბავშვი ზურგზე, ჩამოკიდეთ რამდენიმე კოვზი მის თავთან ისე, რომ შეძლოს მიწვდომა და ხელის კვრა: „ნახე, როგორ წკრიალებს“.

მიწვდი!

მოათავსეთ ბავშვი თქვენს ან სხვა, ახლობელი ადამიანის კალთაში. დაიჭირეთ მისთვის საინტერესო სათამაშო მისაწვდომ მანძილზე და ნელ-ნელა მიუტანეთ თითებთან ახლოს, თან უთხარით: „ყოჩაღ, შენ მიწვდი!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენი პატარა გიყურებთ და თვალებით გეუბნებათ “მე შენი ვარ”. მას უყვარს და სიამოვნებს თქვენთან ჩახუტება და ფიზიკური კონტაქტი. როდესაც მას სჭირდებათ, ის ტირის. თქვენი მოსიყვარულე ხმა მას ამშვიდებს. საუბრის დროს ის წყნარად არის, რაც ყველაზე ხშირად ჭამის შემდეგ, მოსვენებისას ან საფენის გამოცვლისას ხდება. ის უკვე უღიმის ბედნიერ, მხიარულ სახეს, რომელიც მას მოსწონს, ასეთი განსაკუთრებული კი თქვენი სახეა!

მოიპოვეთ ნდობა

მოახდინეთ სწორი რეაგირება, როდესაც ბავშვი ტირის. ეს მისი ერთადერთი საშუალებაა, რომ გითხრათ რაიმე მნიშვნელოვანი. ხშირად აიყვანეთ ხელში, ჩახუტეთ, გაუღიმეთ, უმღერეთ და ესაუბრეთ მას. ამით ის მიხვდება, რომ ის თქვენ გიყვართ და მასზე ზრუნავთ.

კომუნიკაცია შეხებით

ბანაობის შემდეგ კარგია სხეულის დაზელვა, ამისთვის გამოიყენეთ საბავშვო ზეთი და დაუზილეთ ხელები, ფეხები, ტერფები, ზურგი, მუცელი და დუნდულოები. განაგრძეთ მანამდე, სანამ თქვენი ბავშვი არის წყნარად და კმაყოფილია. შეგიძლიათ თან უმღეროთ.

სასაცილო სახე

უცებ გააკეთეთ გაოცებული სახე, გამოუყავით ენა, მოკუმეთ ტუჩები. გააჩერეთ ეს სახე და დააკვირდით, შეეცდება თუ არა რომ მოგბამოთ. თუ გაიმეორებს, იმ შემთხვევაში გაუღიმეთ.

სარკეში ყურება

დაიჭირეთ ბავშვი სარკის წინ. მას შესაძლოა მოეწონოს საკუთარი თავის დანახვა, შეიძლება თავის თავს გაუღიმოს და ბგერები გამოთქვას.

„ჭიტას“ თამაში

ეთამაშეთ „ჭიტა“. თვალბუფე დაიდეთ ხელები, შემდეგ მოიშორეთ და თქვით „ჭიტააა“. სახეზე დაიფარეთ ნაჭერი, შემდეგ ჩამოიღეთ ნაჭერი და თქვით „ჭიტააა“. ამ თამაშის სხვადასხვა ვარიანტები ძალიან მოეწონება თქვენს პატარას.

ხელის მოჭერა

როდესაც თქვენი ბავშვის მუჭი გაშლას იწყებს, მოათავსეთ რაიმე სათამაშო მის ხელში. თავიდან ხელის გაშვება არც ისე კარგად გამოსდის. მიეცით საშუალება, რომ ხელი მოკიდოს თქვენს თითს. უთხარით, რომ ის ძალიან ძლიერია.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.